



ახალი

ქანთიადი

„შენიერია ის, ვისაუ
სამშობლოსათვის უძევრს გული...“



„განთიად
შინსიონო
სონსა
ჩაქოსა.
განთიად
ნაკრეპა
შენდა
და
განჩაქონ
შენ...“

2025 წელი 31 იანვარი №1 (8212) ქალთსა AxaliGantiadi@gmail.com

გვ4. საახალწლო შეხვედრები



გინდ დაიჯერეთ
და გინდ არა

გვ4.

“ათასი წელი,
როგორც ერთი
დღე” ...

გვ3.



გვ3. ჩვენი ღროის
რაინდი

მეხანძრე-მეხველი
გიორგი ლელაშვილი

გვ3.

პროექტი
წყალმომარაგების
გაუმჯობესების
მიზნით

გვ7.

საგზაო ინფრასტრუქტურა



ინფრასტრუქტურა
— ორ
ფრონტზე

გვ6.

გვ5. ჩვენი
ლაბრუნება

ჩვენი
ოლიმპიელი
მესამეა

გვ5.

2024 წლის
პროექტები

გვ2-7.



გვ5. ჭილაობა ქიულო

გვ2. სპორტული
ინფრასტრუქტურა



გვ7.

ისტორია
სახელად
„ბრიჯინი..“

გვ6.

გამოიხედავით
“ახალი
განთიადი”!

კასპის მუნიციპალიტეტის 2024 წლის საწყის ბიუჯეტი 26 889 700 ლარით დაიგეგმა, წლის ბოლოს კი 46 111 000 ლარს მიაღწია. არსებული ფინანსებით შესაძლებელი გახდა წლის განმავლობაში დაგეგმილი პროექტების განხორციელება.

კასპის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა ფინანსურმა რესურსებმა, რეგიონის განვითარების ფონდის, “სოფლის მხარდაჭერის პროგრამის”, “მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის” პროგრამის, ქონების გადასახადის და ადგილობრივი შემოსულობების ზრდამ, მუნიციპალიტეტს მისცა საშუალება მიმდინარე წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტებისა და მუნიციპალური პროგრამების დაფინანსება და შესრულების შესაძლებლობა.

2024 წელსაც, როგორც ყოველთვის, პრიორიტეტი კვლავ მო-

2024 წლის პროექტები

დინარე ყოველწლიურად მზარდია.

ბოლო სამი წლის შედეგების მიხედვით ბიუჯეტის ზრდის ფინანსები ასე გამოიყურება:

2022 წლის საწყის ბიუჯეტი 1 050 000 ლარით განისაზღვრა, წლის ბოლოს კი 1 200 000 ლარამდე გაიზარდა.

2023 წლის საწყის ბიუჯეტი 1 150 000 ლარით განისაზღვრა, წლის ბოლოსთვის კი 1 300 000 ლარამდე გაიზარდა.

2024 წლის საწყის ბიუჯეტი 1 300 000 ლარით განისაზღვრა, წლის ბოლოს კი ყველა პაციენტის დაკმაყოფილების მიზნით 1 440 000 ლარამდე გაიზარდა.

2025 წლის საწყის ბიუჯეტი 1 300 000 ლარით განისაზღვრა. ანუ 2022 წლიდან დღემდე 250 000 ლარითაა გაზრდილი.

ეკონომიურად შეჭირვებული 80 ბენეფიციარი უფასო სასაღილოს კვებით სარგებლობს კვირაში 6 დღის განმავლობაში - არის ბინაზე მომსახურების სერვისიც (სახელშეკრულებო ღირებულება 165 000 ლარი).

წლის განმავლობაში მოსახლეობისთვის პერმანენტულად ეწყობოდა უფასო სამედიცინო აქციები თვალის, გულის, კბოს სკრინინგი და სხვა.

წლებია, მერია თანამშრომლობს შპს სისხლის გადასხმის-საქალაქო სადგურთან - ეხმარება ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს.

კასპში თირკმლის უკმარისობით დაავადებული პაციენტებისთვის ამოქმედდა დიალიზის სერვისი, რომელიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბენეფიციარებს ემსახურება. ამ დრომდე ჰემოდიალიზზე დამოკიდებული პაციენტები, სიცოცხლისთვის აუცილებელ მომსახურებას საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით იღებდნენ, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად, დროსა და ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ახლა შესაძლებლობა აქვთ სერვისით საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე დაწესებულებაში ისარგებლონ. ასეთი პაციენტებისთვის (ამჟამად აღრიცხვაზე 41) - პროგრამით გათვალისწინებულია წლის განმავლობაში ერთჯერადი დახმარება თითოეულ პაციენტზე 900 ლარი.

„საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“-ს „სოფლის ექიმი-სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროექტის“ ფარგლებში გამყოფი ხაზისპირა სოფელ

გაგრძელება გვ2.



სახლეობის საჭიროებებს მიენიჭა ანუ სოციალური პირობების გაუმჯობესება, სასმელი წყალი, გზები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, სკოლები, სპორტული და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა - რეაბილიტაცია.

პრიორიტეტებს შორის ყოველთვის უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამის ბიუჯეტი ადგილობრივი ბიუჯეტის შესაძლებლობიდან გამომ-

მერიის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამა 35 მუხლის ფარგლებში უზრუნველყოფს კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისთვის ჯანდაცვის სერვისების მიწოდებას.

2024 წელს (18.12.2024 მონაცემი) აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 3 868 ბენეფიციარმა, მათ შორის 376 იძულებით გადაადგილებულმა ოჯახმა - რომელთაც გადაეცათ სააღდგომო-სასურსათო პაკეტი. პროგრამის 35 მუხლზე წლის განმავლობაში სულ დაიხარჯა 1 481 367 ლარი (18.12.2024 მონაცემი).

2024 წლის პროექტები

კოდისწყაროში აშენდა ახალი ამბულატორია, რომელიც მალე დაიწყებს ფუნქციონირებას.

+++

წყალმომარაგება წლის განმავლობაში მერია მაქსიმალურად ცდილობდა მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესებას და ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაოები ჩატარდა. კერძოდ:

1. სოფელ კავთისხევის და ქვემო ჩოჩეთის სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია;

2. კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალაძეში, ახალი სათავე ნაგებობის (ჭაბურღილი) სამარაგო რეზერვუარისა და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა, სადგურ მეტენის დასახლების წყალსადენის შიდა ქსელის მონაკვეთის რეაბილიტაცია;

3. სოფელ მიქელწყაროში ახალი ჭაბურღილის მოწყობა;

4. კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ეზატის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა. სასმელი წყლის პრობლემები ნაწილობრივ მოწესრიგდა "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებშიც.

რაც შეეხება შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია", წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

1. "შიოს წყაროს" სათავე ნაგებობაზე, სადაც ფუნქციონირებდა მხოლოდ მიწისქვეშა პორიზონტალური გალერეა, დამატებით მოეწყო ხუთი ჭაბურღილი - რომელთა ამოქმედების შემდეგ ქალაქის დასახლების 30%-ს (ქეჩარუხი-ვარჯაანი) საგარეო ბლად გაეზარდა წყლის მიწოდების ხანგრძლივობა.

2. სამთავის სათავე ნაგებობა-

ზე 350 გრძივ მეტრ მანძილზე მოეწყო ახალი წყალშემკრები პორიზონტალური გალერეა თავისი შვიდი სათვალთვალო ჭით.

3. სოფელ ივოეთის ტერიტორიაზე შეიკვალა 1 500 გრძივი მეტრი ფოლადის ამორტიზებული, შეზღუდული დიამეტრის ქსელი - 400 მმ-იანი პოლიეთილენის ქსელით, რომლის გადართვაც მოხდა რეაბილიტირებულ ქსელზე, საიდანაც მარაგდება ქალაქის 2 რეზერვუარი და კვე-



ბავს ქალაქის დასახლების 50 %-ს.

წლის განმავლობაში სერვისცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე განხორციელდა წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის (აბონენტის) ასამდე მიერთება. დღეის მდგომარეობით წყალმომარაგების კომპანიის დაკვეთით მიმდინარეობს წყალმომარაგების დარჩენილი, ძველი სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც მომავალში კიდევ უფრო მეტად გააუმჯობესებს ქალაქის წყალმომარაგების მდგომარეობას.

+++

სპორტული ინფრასტრუქტურა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, სპორტული მიღწევების ხელშეწყობისთვის აუცილებელია სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება. ამ მიზნით მოთხოვნილება დიდია განსაკუთრებით ახალგაზრდებისგან და

ვცდილობთ, მოვიცვათ არა მარტო ქალაქი, არამედ სოფლებიც და ერთნაირი პირობები შევუქმნათ. მუნიციპალიტეტში მოქმედ ყველა სპორტულ სექციაში ვარჯიში უფასოა, სათამაშო და საშეჯიბრო თამაშისთვის ვუძენთ სპორტულ ფორმებსა და ინვენტარს.

წლის განმავლობაში ტარდებოდა მუნიციპალური და სახელობითი ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

კასპის მუნიციპალიტეტის სახ-

ვიორგი სიმონიშვილი და გიორგი მოსიაშვილი). კლუბის შექმნით კასპის საკალათბურთო ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა. კლუბი გამოცდილი კალათბურთელებითა დაკომპლექტებული.



საკუთრებით აქტიურობდნენ მშობლები, რომელთა შვილებსაც ჯანმრთელობის პრობლემა გააჩნია და მათთვის ცურვა აუცილებელია. საჭიროებიდან გამომდინარე ბავშვები დღემდე მცხეთაში დაყავთ, რაც თითოეული ოჯახისთვის საკმაო ხარჯია.

მუნიციპალიტეტის მერიამ გაითვალისწინა მოსახლეობის თხოვნა აუზის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც ხელს შეუწყობს არა მარტო სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, არამედ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და პოპულარიზაციას. დღეს ქალაქში საცურაო აუზის მშენებლობა აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა დიდი და მცირე აუზი, ტრენაჟორების დარბაზი, 100 ადამიანზე განკუთვნილი ტრიბუნა, პერსონალის, მწვრთნელების, ექიმის ოთახები. ასევე გასახდელეები და საშხაპეები, პარკინგი, გარე კაფე. საცურაო აუზი ადაპტირებული იქნება სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

პროექტი გარდამავალია ღირებულებით 7 023 110 ლარი, დაიწყო 2024 წელს და 2025 წელს დასრულდება. +++ "სოფლის მხარდაჭერის სახელმ-

ბრევი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანს: სოფელ ზემო ხანდაკში, კასპში მირიან მეფის ქუჩაზე, კასპში ლესელიძე - სააკაძის ქუჩების კვეთაზე, სოფელ თელიანში მოეწყო დახურული საჭიდაო არენა. არის პროექტები, რომელთა

განხორციელება დიდი ხნის შემდეგაც ვერ კარგავს მნიშვნელობას, მაგალითად კასპში საცურაო აუზი. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მუდმივად ითხოვდა საცურაო აუზის მშენებლობას, გან-

ვიფო პროგრამის" ფარგლებში საქართველოს მთავრობის განკარგულებით ცენტრალური ბიუჯეტიდან 950 000 ლარი იყო გამოყოფილი, რომელიც მოსახლეობის რაოდე-

ნობის მიხედვით მუნიციპალიტეტის ყველა სოფელზე განაწილდა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაემატა თანადაფინანსება 1 155 000 ლარი, ჯამში სულ - 2 105 000 ლარი.

აღნიშნული თანხით მუნიციპალიტეტში მოსახლეობის მიერ სოფლის კრებებზე შერჩეული 81 პროექტი განხორციელდა.

როგორც ყოველთვის, ძირითადი პრიორიტეტები იყო: სასოფლო გზების მოხრეშვა, გარეგანათება, სასმელი და სარწყავი წყლის და სანიადვრე სისტემების, სკვერების, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, რეაბილიტაცია და სხვა.

"მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის" - პროგრამა (საქართველოს მთავრობის №1025 განკარგულება 23.06.2024)

აღნიშნული პროგრამით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი იყო 375 600 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით დაემატა 100 000 ლარი და 475 600 ლარამდე გაიზარდა.

აღნიშნული პროგრამით ძირითადად განხორციელდა მცირე ბიუჯეტის პროექტები: ბავშვთა გასართობი სივრცეები, სანიადვრე არხები, გარეგანათების და არმირებული რკინა-

ბეტონის საფარის მოწყობა, გზის მოხრეშვა და სხვა. +++ კულტურა ინფრასტრუქტურა : მიმდინარე წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა კასპის ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კულტურის ცენტრს (2023-2024 წწ), რომელსაც რეაბილიტაცია ათეული წლების განმავლობაში არ ჩატარებია. რეაბილიტირდა სველი წერტილები, ელექტრობა, ოთახები, სამცადინო დარბაზი, ფოიეები, მოეწყო ცენტრალური გათბობის სისტემა. კულტურის ცენტრს შეეცვალა სახურავი.

უსაფრთხოების მიზნით შენობაში დამონტაჟდა სათვალთვალო კამერები. განახლებულმა შენობამ ხელი შეუწყო წრებრივ, თვითშემოქმედ და ინდივიდუალური შემსრულებლებების მუშაობას, სადაც გარდა ცეკვის - ყველა მოქმედი წრე არის უფასო.

რაც შეეხება წლის განმავლობაში ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებს, ჩატარდა: საახალწლო კონცერტი. 8 მარტს სათნოების სახლის ბენეფიციარებს მიულოცეს, ტრადიციული ქართული სამოსის ეროვნული დღე; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე 1 ივნისი;

1) ქართული ტრადიციული სიმღერებისა და გალობის ფესტივალი - „ქართული“. მიზანი ქართული ტრადიციული სიმღერისა და გალობის პოპულარიზაცია (მოგესვენებთ, რომ ფესტივალი კასპში დაფუძნდა);

სახალხო დღესასწაული "კასპობა - 2024" და სხვა.

მოქმედი ანსამბლები მონაწილეობენ რეგიონალურ და საზღვარგარეთის ფესტივალებში: მამაკატა ანსამბლი „მოურავი“ გავრძელება გვ7

2024 წლის 21 დეკემბერს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, ერთ-ერთი დიდი შენობის ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოების დროს, სამსახურბრივი მოვალეობის აღსრულებისას, დაიღუპა 42 წლის მეხანძრე-მაშველი გიორგი მეველდის ძე ლელაშვილი - სამოქალაქო უსაფრთხოების ლეიტენანტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომელი.

გარდაცვლილი მეხანძრის ხსოვნას მხედრული პატივი მიაგებს დაკრძალვის დროს საგანგებო ზალპის გასროლით. შემდეგ კი მისი ოჯახის წევრებს გადაეცათ საქართველოს სახელმწიფო დროშა, რომლითაც მამაცი მეხანძრის სასახლე იყო გადაფარებული.

დაკრძალვის ცერემონიაში მონაწილეობდნენ საქართველოს მთავრობის, პარლამენტისა და სამინისტროს ხელმძღვანელი პირები, ასევე, თანამშრომლები, კოლეგები.

+++ შარშანდელი დეკემბრის ბოლოს სოციალურ ქსელში გავრცელდა აწ დაღუპული გიორგი ლელაშვილის საუბარი, რომელიც მან მისცა ერთ-ერთ ჟურნალს, ქ. თბილისში 2018 წლის ნოემბერში მომხდარ დიდ ხანძარში ჩაქრობის სამუშაოებში მონაწილეობის შემდეგ:

“მეხანძრეობა ძალიან საინტერესო და სარისკო საქმეა. შენზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, რასაც კი სიცოცხლე ჰქვია: იქნება ეს ადამიანების ყოფნა-არყოფნა თუ როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური საკუთრება.

ბუნებრივია, ყველაფერს თან ახლავს პირადული დიდი პასუხისმგებლობა, ასეთ დროს შინაგან სტიმულს გაძლევს ხანძარზე გამარჯვებისა და მისი ჩაქრობის შემდეგ მოსალოდნელ ემოციებზე თუ სხვათა ბედნიერ სახეებზე ფიქრი.

ჩვენს საქმიანობაში განსაკუთრებულად რთული შემთხვევა ბევრია. ასეთი იყო, მაგალითად, თბილისში, ვაგზლის მოედნის მიმდებარე “პეშეთა სამყაროს” ტერიტორიაზე მომხდარი ხანძარი თავისი მასშტაბურობითა და სირთულით.

მახსოვს, მაშინ სარკინიგზო სადგურის მოედანი მთლიანად კვამლში იყო გახვეული, იწვოდა უზარმაზარი სავაჭრო შენობა და ისმოდა მხოლოდ დაზარალებული მოქალაქეების განწირული ყვირილი. მისი ხანძრის ჩაქრობის პროცესი ურთულესი იყო. გადავადგილდებოდით შენობაში, რომლის კონსტრუქციების ჩამოქცევა ყოველწუთს იყო მოსალოდნელი. უდიდესი რისკის ფასად მოგვიხდა მისი აღკვეთა და მცდელობა, რომ ხანძარი მახლოდელ შენობებზე არ გადასულიყო.

მაშინ ჩვენ ეს შეეძებოდა. ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ზარალი კიდევ უფრო არ გაზრდილიყო.

ხანძრის ქრობის დროს ადამიანურ ემოციებს სრულად აკონტროლებ, ცივი გონებით მოქმედებ და მთლიანად საქმეზე ხარ კონცენტრირებული. ასეთ მომენტში იყენებ მთელ შენს გამოცდილებას, აკეთებ ყველაფერ იმას, რაც იცი, ვისწავლია, გამოგიცდია, რითაც ამდენი წელი ხარ დაკავებული და შემდეგ, როცა უკვე სამშეიღობოს გამოხვალ, ყველა ემოცია გონებაში იყრის თავს... ზოგჯერ გეფიქრება, რომ იქ, სადაც შეხვედი, კედლის ჩამონგრევისა და პირადი გაგუდვის რისკი დიდი იყო, მაგრამ ხანძრის ქრობისას ამაზე არ ფიქრობ, საამისოდრო სადა... ხანძრის დროს დაღლილობაც არ გაწუხებს. ეს მხოლოდ საქმის კეთილად დასრულების შემდეგ გვეტყობა ზოლმე სახეზე. არც სიცივე ნიშნავს რამეს, ჩაფხუტებზე ყინულის ლოლოებიც კი გვექონია ჩამოკიდებული...

ამ რთულ პროცესს, საბოლოოდ, მოჰყვება ადამიანების იო პოლიტიკურ საქმიანობაში. დიახ, არაა ეს ჩემი საქმე. და, ამასთანავე, უპირობოდ, მერე რომელიმე პარტიის მომხრემ რომ არ მითხრას: - მამაო, ამის გამო არ მოვედი ტაძარში.

დედაქალაქის რუსთაველის გამზირზე სანამ მშვიდად დგას ორივე მხარე, იქ მღვდელი საჭირო არაა. როცა დემონსტრანტი, ან, პოლიციელი იწყებს გინებას, რადაცის სროლას, თუ ცემას, მაშინ იქ არც მღვდელი აინტერესებთ და აღარც მოლა. ჩვენ არ ვართ თეოკრატიული სახელმწიფო, ხომ მეთანხმებით, რომ რასაც სასულიერო პირი იტყვის, კანონი იყოს ყველასათვის.

ორივე მხარეს არიან ჩემი ქვეყნის შვილები, ასევე, ძალიან ახლობლებიც. მათ ისედაც ესმით ჩემგან, რომ უკანონობა არ უნდა ჩაიდინონ. და, თუ უნდათ, გაითვალისწინებენ. მე არ შემიძლია, ვიყო უსამართლო და მიკერძოებული.

რომ დავიცვა სამართალდამცველი, რომელიც კანონს არღვევს, მომიტინგეს თავს უხეტქავს, მაშინ მეორე მხარის ადამიანი ჩემთან აღარ მოვა სალოცავად, აქეთ მეტყვის დამღუბებული, - ხმას რატომ არ იღებდი, როცა ჩემზე ძალადობდნენ?

ცრემლიანი თვალები, ბედნიერი სახეები და გულწრფელი მადლობა.

აი, ასეთ დროს ვხვდები, რომ კარგ საქმეს ვაკეთებ და ეს კი, სამომავლოდ, დიდი სტიმული მომცემია.

+++ შალვა ედიშერაშვილი - სოფელ ხოვლის მცხოვრები:

- გიორგი, როგორ მიძიმს შენზე სამგლოვიარო სიტყვების თქმა, როცა ვერა ვერ ვაგვიტავისებია შენი სიკვდილი, რომელიც თავზარდამცემი აღმოჩნდა განურჩევლად ყველასათვის.

ადამიანის სული თვალებიდან გამოანათებსო. შენს თვალებში ყოველთვის სიტბო, სიყვარული და მოყვასი ადამიანის დახმარების სურვილი იკითხებოდა. შენგან უფრო თვალშისაცემი მედიკო ბაბოსთან ურთიერთობა იყო, უმურველად რომ გასცემდით ყველაფერს ერთმანეთისათვის. ამიტომაც ვერავენ გაბედა, მისთვის ამ დიდი ტრაგედიის შესახებ ვინმეს რამე ეთქვა.

ჩემს თვალწინ გაიარა შენმა ყრობამ, გაზრდა-დავაჟაკცამ.

დიახ, დავაჟაკცებამ! სხვას ვის შეეძლო იმ საქმისათვის თავდადება, საარაკოდ რომ დაუტოვე შენს ქვეყანას, ოჯახს. საახლობლოს კი სანუგეშოდ ის დაგვიტოვე, რომ, როცა თავმდალობაზე, ერთგულებაზე, ქვეყნისა და ხალხის სიყვარულზე ვისაუბრებთ, შენ გავიხსენოთ აუცილებლად და, ბოლოს, რას გეტყვით ყველაფერზე მართლს: შენ გაიმარჯვე წლებზეც და სიკვდილზეც. შენს სახელს დავიწყება არ უწერია!

+++ გელა ლელაშვილი - ლელაშვილების გვარის წინამძღოლი:

- უდიდესი ადამიანური დანაკარგი განიცადა ლელაშვილების საგვარეულომ. სამოქალაქო სამსახურბრივი-პროფესიული მოვალეობის შესრულების

მეხანძრე-მაშველი გიორგი ლელაშვილი



სას, მამაცთა წესისამებრ, დაიღუპა ჩვენი გვარის ვაჟკაცი - გიორგი ლელაშვილი.

იგი იყო ნაცადი სპორტსმენი (მოჭიდავე) და გვერდში მყოფთა შორის გამოირჩეოდა ლიდერობის უნარით, სხვათათვის ხელგაშლისა და დახმარების სურვილით. ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, როცა თავის დროზე, 2012 წლიდან, მეხანძრე-მაშველის რთული პროფესია აირჩია.

ჩვენს საგვარეულოს არაერთი თანამოგვარე მოუსაკლისებია, ვისაც სოფელ-ქვეყნისათვის ურგია, კეთილნერვი უხარებია და დღეს ჩვენს გვერდით აღარ არიან. უნდა ვაცხონოთ ხოვლის ახალნაგები ღვთისმშობლის ეკლესიის აღმშენებლის გიორგი (ჯამბულ) ლელაშვილის, მოჭიდავე ზაზა ლელაშვილის, ახალგაზრდა პაატა ლელაშვილისა და სხვათა და სხვათა სულები! ძნელია ამ ფაქტთან შეგუება, მაგრამ შარშანდელი დეკემბრიდან საგვარეულოს რიგებიდან განრიდებულებს მიემატა კიდევ ერთი სასახლო ვაჟკაცი.

იგი მუდამ ინტერესდებოდა საგვარეულოს გაერთიანების საქმიანობით, ჩართული იყო ჩვენი საგვარეულოს ხატის მოხ-

ატვისა და დროშის შექმნის პროცესებში, ხოვლისა თუ თბილისურ შეკრებებში, ამბობდა, - მე გული ხოვლეში დავტოვე, იქ, სადაც ჩემი გვარის ხატია დაბრძნებული!

+++ გიორგი მჭედლიშვილი - კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:

- მართალია, გიორგი ლელაშვილის ოჯახი თბილისში ცხოვრობდა, მაგრამ მისი ადგილისდღის ბუდე აქაა, შიდა ქართლის ისტორიულ მხარეში. საქმე ისაა, რომ ლელაშვილების წარმომავლობის ადგილად მიჩნეულია სოფელი ხოვლე.

უძველესი ზეპირსიტყვიერი გადმოცემების თანახმად, გვარის წარმოშობა უკავშირდება თემის ხეობას, საიდანაც გვარის წარმომადგენლები თანდათან გადმონაცვლდნენ ხოვლეში, დედაქალაქსა და სხვაგან.

... ჩვენი დროის გმირი ვაჟკაცის დაკრძალვის სამგლოვიარო-საჭიროისუფლო ცერემონიაში ხოვლელთა ასკაციანი წარმომადგენლობა მონაწილეობდა.

“ათასი წელი, როგორც ერთი დღე” ...

ობოზიციის მომხრეებს კი ის უკვირთ ხოლმე, როცა მთავრობას რადაცაზე ვაქებ, როცა კარგს აკეთებენ, აბა, როგორ არ ვთქვა? მერე ხომ აღარც ევენნი მოვლენ ტაძარში, - მამაო, შენ ჩვენზე არასოდეს კარგი არ ვითქვამს, როგორ, საერთოდ, არაფერს ვაკეთებდით?!

ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ყველა ადამიანის სულზე. არ შეიძლება, ვინმეს ხელი ვკრათ. ჩვენთვის ყველა მნიშვნელოვანი ხართ. ნუ გვიკრძალავთ აზრის გამოხატვას.

მადლობა ყურადღებისათვის, მადლობა ყველას, ვინც მოძღვრისეული შეგონება ბოლომდე ჩაიკითხა.

მაპატიეთ თქვენც და ჩემმა სამშობლომაც, თუ მეშლება რამე. ამაზე მეტი არც განათლება მაქვს, არც სულიერება და არც შესაძლებლობა.



მღვდელი ლევანი (Iquiri), კასპის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღვარი.



ჩვენში, მუნიციპალურ ქალაქსა და მის სოფლებში, ყოველი კალენდარული ახალი წელი, გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, საბავშვო ბაგა-ბაღებიდან შემოდის. კი, ასეა, ჯერ ისინი, ჩვენი პატარები იწყებენ წინასაახალწლო ფუსფუსსა და მზადებას ახალი წლისა და მისი განუყრელი, თანხლები თოვლის პაპისა და ფიფქიას შესახებ-დრადა და მათთან ერთად საზე-

პირადად თუ არ გიხილავთ, სხვათა აღწერითა და დასურათხატებით ძნელი წარმოსადგენია. ჩვენი გაერთიანების ღირებულების სახელით მაღლობას ვუთვლით ყველა ბაღის თანამშრომლებს, გამგებებს, აღმზრდელებსა და მათ თანამშემწეებს, ძიძებს, ფსიქოლოგებსა და მუსიკის პედაგოგებს, კვების ბლოკის და ტექნიკური მხარის მუშაკებს, ვინც კიდევ ერთი,

ლობდა 5-6-წლიანთა ჯგუფის 23 აღსაზრდელი. აბა, შეხედეთ, მეორე რიგში მდგომ გოგონებს როგორ ამშვენებს თეთრად გახამებული საყვლოები, ხოლო ბიჭუნებს – ყელის ბაბთები. საჩუქრები? საჩუქრები უკვე დაურიგებია თოვლის პაპს (მერე რა, ახლა ფოტოზე არა ჩანს). (აღმზრდელები – თინათინ მენაბდიშვილი და თეონა მერებაშვილი, თანამშემწე – თამარ ბერიანიძე, ძიძები – მანანა მერებაშვილი და ნატალია ძეგნიაური).

ქ. კასპის მეორე საბავშვო ბაღში (გამგე – თამარ ხოკრიშვილი):

ხალისიანმა საახალწლო განწყობამ დაისადგურა შენობის ოთახებსა და ეზოში. აი, დარბაზში კი ბრწყინავდნენ პატარებიც და დიდებიც. ღიმილი? – იმდენი იყო, მეტი რომ არ შეიძლებოდა. 5-6-წლიანთა ჯგუფის აღსაზრდელები საახალწლო აქტივობისათვის გულმოდგინედ მოემზადნენ. 27 დეკემბერს კი ისეთი ხალისით წარმოადგინენ დამსწრეთა და სტუმართა წინაშე, უკეთესი რომ არ იქნებოდა (აღმზრდელები – ელიზა ბაშარული, ირმა მილაძე, ნანა დალაქიშვილი, თანამშემწეები – ნათია მაზანაშვილი, ლელა შალუტაშვილი, ძიძები – ირინა მარქარაშვილი, ნათია ჩხაიძე და ნინო ბატკუაშვილი, მუსიკის მასწავლებელი კობა კრიჭავილი).



იძო აქტივობის მოსამზადებლად, გასამართავად. და ეს ხდება თითქმის ერთი თვით ადრე, ანუ მთელი დეკემბრის განმავლობაში. ჰოდა, ქრისტეშობისთვის გასრულებამდე 4-5 დღით ადრე მზად არიან. მშვენიერ, სახალისო აქტივობასაც რაღა და ვინღა უდგას წინ, საზეიმო დარბაზებსაც გაამშვენიერებენ, გააციხროვენებენ, მორთავენ და... დეკემბრის მიწურულისათვის ხომ ისედაც მთავრდება კალენდარული წელიც და მასთან ერთად სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწყებითი ეტაპის წლიური ციკლიც.

საზეიმო, სახალისო და შემეცნებითი ხასიათის დღესასწაული აჩუქებს ჩვენს ცეროდენა გოგო-ბიჭებს!

და, რა თქმა უნდა, ვემაღლიერებით ჩვენი აღსაზრდელების მშობლებს, უფროსი თაობის ადამიანებს, ყველა დაინტერესებულ და მეურვე მზრუნველს, ვინც მომავალი თაობის აღზრდას საფუძველს უქმნის ოჯახური გარემოდან, საშინაო ჩარჩოებიდან; ვინც პირადად, ადამიანურ, საზოგადოებრივ რესურსს ახმარს და ერთ აგურს დებს ქვეყნის მშენებლობის პროცესში, ზვალინდებლობის კეთილდღეობაში, მომავალი თაობების აღზრდამზაობაში.

ქ. კასპის პირველ საბავშვო ბაღში (გამგე – მზიური ჭაღიაშვილი):

ეს გოგო-ბიჭუკელები პირველბაღელები არიან. საახალწლო აქტივობაში მონაწი-

გინდ დაიჯერეთ და გინდ არა



ქ. კასპის მესამე საბავშვო ბაღში (გამგე – თეა ქუტაშვილი):

საახალწლო აქტივობები აქ გაიმართა ყველა ჯგუფში, როგორც უმცროსი ასაკის აღსაზრდელების ჯგუფებში, ისე 5-6-წლიანთა ჯგუფში (აღმზრდელი – ხათუნა მერებაშვილი, თანამშემწე – ირინე მენაბდიშვილი, ძიძები – ნათია ფილიევი და ნინო ჯანანაშვილი, მუსიკის მასწავლებელი – ლაურა ხასიყვა).

ქ. კასპის მეხუთე საბავშვო ბაღში (გამგე – ლამარა მილაძე):

აქაურმა 6-წლიანთა ჯგუფი “მერცხლების” აღსაზრდელებმა ახალი წელიც ხომ საზამთრო არდადეგების დაწყებასთან ერთად იზეიმეს და, მართლაც, კულმაკრატელა ფრთოსნებისთვის იჭიკჭიკეს. მათი მხიარულება და ჟრიაშილი ლამის “ნატბეურას” უზნის მთელ დასახლებას გადასწვდა (ჯგუფის აღმზრდელები – თინიკო თინიკაშვილი და ნანა ჯამალაშვილი, თანამშემწეები – ქრისტინე ბაქაძური, ოლია ბერიძე და ანი საბიაშვილი).

ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო დღესასწაული დაიყენეს 5-წლიანთა ჯგუფის ნორჩებმაც (აღმზრდელები – თამუნა ნიპარიშვილი და მია ბაიდაური, თანამშემწეები – ლია მარიამაშვილი და დინარა ქავთარაძე).

სოფელ ალაიანის საბავშვო ბაღში (გამგე – ეკატერინე დვალიშვილი):

ჩვენო პატარებო, გილოცავთ! ახლა თქვენი დროა – ზღაპრული, როცა შეიძლება ყველა თქვენი ოცნება ახდეს. კი თქვენ ხართ მზიანი და ბედნიერი პატარები და სწორედ ამიტომ თქვენი ღიმილი ახალ წელს განსაკუთრებულად უხდება. იყავით მუდამ ისეთი კარგები და ცნობისმოყვარეები, როგორც დღეს ხართ! – აი, ასეთი კეთილი და მზრუნველი დალოცვა-დარიგება გასდევდა ლაიტმოტივად ქსნისპირა სოფლის ბაღში გამართულ საახალწლო მშვენიერ ზეიმს.

სოფელ იგოეთის საბავშვო ბაღში (გამგე – ნათია ბერიკაშვილი):

საახალწლო აურზაური როგორი უნდა იყოს? – მოსალხენი დარბაზი აუცილებლად მოფიფქული უნდა იყოს ფანტელებით, ფიფქებით – ანუ, ისეთი, იქაურმა აღმზრდელებმა რომ გაუმზადეს თავიანთ პატარებს!

სანაცვლოდ ამისა, ცეროდენა გოგო-ბიჭები როგორი? – ცხადია, თეთრფურცელაკაბებში გამოწყობილი, რომლებიც ცეკვავენ, ცეკვავენ... ისე, როგორც თოვლის ფიფქები ჰაერში! ისე, როგორც საახალწლოდ დიდ-პატარის განწყობილებას შეეფერება!



ჭილაობა ქიულ

ჩეპიონის დაბრუნება

2024 წლის სპორტული წლის სეზონის ზედ მიწურულში სასიხარულო ფაქტი მოხდა მუნიციპალური სპორტის ისტორიაში: საქართველოს ჩემპიონობა ჭილაობა დიუდოში მოიპოვა 26 წლის მოჭიდავემ ჯაბა პაპინაშვილმა: თანაც, უკვე მეორედ! (ოქროს მედალს პირველად დაუფულა რამდენიმე წლის წინ, 21 წლის ასაკში).

ამაზე იტყვიან, - ჩემპიონი დაბრუნდა! არადა, ჯაბა, მართლაც, დაბრუნდა - სულ ახლახან, ცხოვრებისეული გარკვეული მიზეზების გამო, აქტიური კარიერა ნაადრევად დაამთავრა. თვითონ ასე ჩათვალა, მაგრამ, თურმე, არა.

ჯაბა პაპინაშვილი ჭილაობა დიუდოში ისევ დაბრუნდა!

+++

საქართველოს დიუდოს ეროვნული ფედერაცია, საჭიდაო სხვა სახეობათა ხელმძღვანელი რგოლებისაგან განსხვავებით, საქვეყნო შიდა ჩემპიონატს ზედ მიწურული სეზონის ბოლო დღეებში მართავს ხოლმე. ამდენად, ერთგვარი დათვალეობის, შეჯამების, შეფასების ხასიათს ანიჭებს, თავს ადგამს.

აი, 2024 წელსაც, საანგარიშო-შემაჯამებელი პირველობა 27-29 დეკემბერს გაიმართა ქ. თბილისის დიუდოს აკადემიაში, რომელიც პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის შოთა ჩოჩიშვილის სახელს ატარებს.

კასპის მუნიციპალიტეტის დიუდოსტა ნაკრები პირველობაში 7-კაციანი გუნდით მონაწილეობდა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით): ჯაბა პაპინაშვილი, ნიკა ბერიშვილი, დათო ნინიკაშვილი, სანდრო ახლოური, სოსო ფიციქ, ბაქარ ერასვილი და ირაკლი დემეტრაშვილი, გუნდის ხელმძღვანელი - ნუგზარ მამულაშვილი.

შეგახსენებთ, რომ მთელი შარშანდელი წლის განმავლობაში ქართველმა დიუდოსტებმა არაერთ სასახელო გამარჯვებას მიაღწიეს როგორც "პარიზი - 24"-ის ოლიმპიადაზე,



ისე ევროპისა და მსოფლიო პირველობებსა და საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებზე. და, მაინც, საქვეყნო შიდა პირველობაზე მოპოვებულ ჩემპიონის ტიტულსაც და მედალსაც გაცილებით მეტი ფასი და წონა ედება, მეტადრე ოქროსას! (თუნდაც ქართველობის კრიტიკიუმიდან გამომდინარე, ეროვნულობისა და პატრიოტიზმის თვალსაზრისით, პრესტიჟულობას თუ არ მივიღებთ მხედველობაში).

ჰოდა, ზედ წინასახალწლოდ კასპელი დიუდოსტებისაგან აუცილებლად მოველოდებით წარმატებულ გამოსვლას, რადგანაც გუნდში შედიოდნენ გამოცდილი, გამოჯეკილი მოჭიდავეებიცა და პერსპექტიული, საიმედო ახალგაზრდებიც. ამიტომ იყო, რომ კასპელი მწვრთნელების გათვლები სერიოზულ ვარაუდებს ეყარებოდა, როცა მედლების მოპოვების შანსებზე საუბრობდნენ, - რამდენიმე მედალი გვექნება, მათში ერთი-ორი - ოქროსი! მეტი? - აი, თუ ახალგაზრდებიც შემოგვთავაზებენ სასიამოვნო სიურპრიზ(ებ)ს!

ვერა, ასეთი სასიხარულო გამოხატება მეორე ვჯუფიდან ვერავინ შემოგვთავაზა. აი, გამოცდილებიდან კი ორივემ გაამართლა ფავორიტების სახ-

ელი - ირაკლი დემეტრაშვილი - მაც და ჯაბა პაპინაშვილმაც!

მძიმეწონოსანმა ირაკლი დემეტრაშვილმა, როგორც მოსალოდნელი იყო, საწყისი ეტაპი დამაჯერებლად გაიარა. ნახევარფინალურ დაპირისპირებაშიც დაამარცხა გამოცდილი მეტოქე. გადამწყვეტ ფინალურ შეხვედრაში კი დაუწყვილდა ქუთაისელ კარგად ნაცნობ საბანანეიშვილს. უკვე წლებია, იმერელ-ქართლელი ახალგაზრდა მძიმეწონოსანი მოჭიდავეები იბრძვიან ნაკრებში წონის ლიდერობისათვის და პრინციპული მეტოქეები საქართველოს გარე შეჯიბრებებშიც რამდენჯერმე გადაყარნენ ერთმანეთს ფინალებში. ხან ერთი იმარჯვებს, ხან - მეორე. ამჯერად რომ ჯახი ჰქონდათ, აი, ეს იყო, რაც იყო! ვინ დაინარჩუნა მარჯვი? - ახლა იმერელმა!

ამდენად, ჩვენებური მე-2 ადგილის და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა (სხვათა შორის, ირაკლი დემეტრაშვილის შესახებ გასული დეკემბრის სპორტული გვერდის გამოშვებაში ვწერდით, როგორც კასპის მუნიციპალიტეტის 2024 წლის საუკეთესო სპორტსმენზე. ჰოდა, მის წლიურ სპორტულ მონაგარს საქართველოს ვიცე-ჩემპიონობა

სასახელო სვეტად დაედგა)! - ჯაბა პაპინაშვილი დაბრუნდა დიუდოში! - ასე შეაფასეს მწვრთნელებმა და გულშემატიკეებმა, ქართული დიუდოს სპეციალისტებმა მისი წარმატებული გამოსვლა წლის საფინიშო დარბაზულ-აკადემიურ ტატამზე. ის ამჯერადაც მისთვის ჩვეულ წონით კატეგორიაში გამოვიდა, რადგანაც, როგორც ადრე მისი უფროსი ძმა - ამირანი, სტაბილურად ინარჩუნებს საჭიდაო ფორმას, ფიზიკურ მზაობას, ანუ წონასაც (- 60 კილოგრამი).

ჯაბა პაპინაშვილი (ჩვენი დოსიე):

დაიბადა 1998 წლის 27 აპრილს (კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი თელიანი). დაოჯახებულია, ჰყავს მეუღლე და 2 შვილი: 3 წლის ლუკა და ერთი წლის ლიზა.

სპორტული კარიერა:

2015 წელი - ევროპის ჩემპიონი ჭილაობა სამბოში (დაახლოებით გასაკვირიც არ უნდა იყოს, სამბოთი დაიწყო და მერე გადმოერთო დიუდოზე);

2017 - საქართველოს პირველობა: მე-3 ადგილი (21-წლამდელებში);

- მსოფლიო ჩემპიონი (ახალგაზრდებში), ქ. ზაგრები (ხორვატია);

2018 - ევროპის ჩემპიონატი: მე-3 (ახალგაზრდებში),

- ევროპის ჩემპიონატი: მე-2 (23-წლამდელებში),

- მსოფლიო ჩემპიონატი: მე-3 (ახალგაზრდებში);

2019 - თბილისის დიდი პარიზი: მე-3,

- პარიზის დიდი შლეგი: (მერვედფინალი),

- საქართველოს ჩემპიონი;

2020 - ევროპის ჩემპიონატი: მე-3;

2021 - ბაქოს დიდი შლეგი: პირველი;

2022 - პარიზის დიდი შლეგი: მე-3...

+++

- ჯაბა, პირველ რიგში გილოცავთ საქართველოს ჩემპიონობას კასპელი (და არა მხოლოდ) გულშემატიკეების სახელით. იქნებ, დაგვიზუსტო, მერამდენე მედალია ქვეყნის პირველობებისა?

- მესამეა. პირველი იყო 2018 წელს, როცა ფინალში დავთმე შეხვედრა, გამოუცდელიობამ და ფსიქოლოგიურმა მდგომარეობამ დამაღალატა. როგორია? - მოჭიდავე დიდი პაპების, პაპისა და მამის გვარის ახალბედა შემკვიდრე გავდი საქართველოს პირველობის ფინალში! აი, 2019 წელსაც მოვახერხე და ისევ აღმოვჩნდი ფინალში. მაგრამ ახლა სხვა სიტუაცია შეიქმნა - გადამწყვეტ შეხვედრაში საკუთარ ძმას უნდა დავჭიდებოდი. მან კი, ზედ ფინალისწინა პაექრობაში ტრავმა მიიღო და ამიტომ ძმები პაპინაშვილების ფინალი აღარ გაიმართა. ისედაც, - რომ შემძლებოდა, ძმთა შორის დაპირისპირებაზე უარს ვიტყვოდი, - მითხრა მამინ უფროსმა ძმამ.

- ახალჩემპიონობა ორი წლის წინ გარდაცვლილი მამის ხსენებას მიუძღვნებო, - განაცხადე შარშანდელი პირველობის პირველი საშეჯიბრო დღის პირველი ოქროს დაუფლების შემდეგ. ჰოდა, ჩემპიონის მედლით მამის საფლავზე ხომ არ გასულხარ?

- არა. სიმართლე გითხრათ, ასეთი ფამილარული მოქმედება არა მჩვევია. უბრალოდ, სოფელში დაბრუნებულმა მეორე დღეს სანთელი დავანთე ძვირფასი მამის სახელზე.

- საქართველოს ნაკრებში სერიოზული ჩანაფიქრებითა და გეგმებით დაბრუნდი?

- რა თქმა უნდა. 100 პროცენტით ვარ მობილიზებული. 6-დან 16 იანვრამდე შეკრებაზე ვიმყოფებოდი ავსტრიის ქალაქ მიტერსილში. იქიდან კი, ეგრევე, ბაკურიანში გადმოვინაცვლეთ და 18-28 იანვარს გავაგრძელეთ ახალი სეზონისათვის მზადება. ასე, რომ: საქართველოს დიუდოს ნაკრები, ძირითადად, შარშანდელი შედეგების მიხედვით არის დაკომპლექტებული.

- უახლოეს ხანებში სად და რომელ შეჯიბრებებზე გიხილავთ?

- სულ მალე ჩვენი ნაკრები საფრანგეთში მიემგზავრება. პირველ თებერვალს პარიზის დიდი შლეგის ტატამზე გამოვალ.

- წარმატებები შენ, როგორც პირადულ, ისე სანაკრებო დონეზე!

თავისუფალი ჭილაობა

ჩვენი ოლიმპიკი მესამეა

- ახალი საჭიდაო სეზონის საწყის ეტაპზევე მოპოვებულია პირველი მედალი! - შეუძლია, სიამაყით განაცხადოს გოდერძი ძეგისაშვილმა - ჩვენებურმა მოჭიდავემ, სოფელ რენეში მცხოვრებმა, ქ. გორის ნუგზარ სხირელის სახელობის საჭიდაო სკოლის სპორტსმენ-

მა (მწვრთნელი - არკადი ხინჩიკაშვილი).

რეალობაში დახატული სურათი კი ასეთია: საქართველოს ჩემპიონატს თავისუფალ ჭილაობაში (უფროსთა შორის) 2025 წლის საშობაო დღეებში (12-14 იანვარი) უმასპინძლა ქ. ბათუმის სპორტის სასახლეში.

აღნიშნულ შეჯიბრებაში ჩვენებურმა მოჭიდავემ, რომელმაც "პარიზი - 24"-ის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა, მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

საყურადღებო ფაქტია, რომ გორელმა მოჭიდავეებმა ბათუმში ყველა დანარჩენი ქალაქის გუნდებს აჯობეს მოპოვებული ჯილდოების რაოდენობით. გორი, შიდა ქართლის

შუაგული ქალაქი, შემთხვევით არ არის მიჩნეული საქართველოში თავისუფალი ჭილაობის მექად.



... დეკემბრის სპორტგამოშვების გვერდში უკვე ვწერდით, რომ ლეხურისპირა ქალაქის კალათბურთის დარბაზიდან აქაური “გრიფინი” აფრინდა და დედაქალაქში სპორტის სასახლის “თბილისი – არენას” გადაუფრინა, იქაური “ვერას” გუნდს სძლია და კასპში გამარჯვებული მობრუნდა. ვაანონსებდით იმასაც, რომ “ა” ლიგის საგზურის მოსაპოვებლად ამჯერა მორიგი ჯაზი უწევდა “ასტრალის” კლუბთან, რომელსაც წინა სეზონში წარუმატებლობის შემდეგ ლიგაში დარჩენის შანსი მისცემოდა “გრიფინთან” დაპირისპირებით. ანუ, სწორედ მასთან ორთაბრძოლაში უნდა გვეხილა, “გრიფინი” რამდენად შეძლებდა ციურ ასტრალში ანგარდებსა და აჭრა-აფრენას.

მაშ, ასე: ჩანაწერების სახით მივყვეთ შემდგომი მოვლენების კალენდარულ განვითარებას:

15 დეკემბერი: “გრიფინმა” კასპში პირველი ოფიციალური მატჩი, ანუ სადებიუტო და სანათლაკი ახალშექმნილი კლუბის კვალობაზე, “ასტრალთან” სოლიდური სხვაობით მოიგო (115 : 92) და ამით, იმარჯვა რა საკვალიფიკაციო ეტაპის ორრაუნდიანი შეხვედრის ფინალურ მატჩში პრინციპულ მეტოქესთან, ერთი ნაბიჯი უკვე გადადგა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მეორე დონის (სუპერლიგის მომდევნო) ლიგისაკენ.

გუნდი, როგორც ასეთი, უკვე ამ დროისათვის წარმოგვიდგა ერთიანი რაზმის, შეხმატკბილებული ქოროს, შეკრული დასის, მოთამაშეთა სპორტული გამოცდილებისა და ახალკვალობის ნაზავი ჯგუფის, პროფესიონალთა და ახალბედათა კოლექტივის, მოკლედ, შემდგარი ნაკრების სახით... ჰოდა, ასეთ დროს ამბობენ ხოლმე, – კარგი დასაწყისი საქმის ნახევარია!

23 დეკემბერი: დღეს განმეორებით და გადამწყვეტი მატჩია თბილისის “ასტრალთან.” ეს სახელი ლათინურად ვარსკვლავოსანს ნიშნავს. ისე, მეტოქე გუნდის წევრები არც ავსტრიელები იყვნენ და არც ავსტრალიელები. თუმცა, თავი მოეწონებინათ, – ვარსკვლავმთამაშენი ვართ და ჩვენი ას-

ტრალელობით ყველაფერი მორჩაო! არა, მორჩა კი არა, 23 დეკემბერს გაირკვევა და გაფორმდება ოფიციალურად, ანუ, ვინ გამოათავისუფლებს ადგილს “ა” ლიგაში და, სამეიეროდ, ვინ დაიბეგებს, ანუ მატჩი უპრინციპულესია: დარჩენა ალზევებისა!

ისე, წინასწარ ქაღალსა და ქებას ნახვარომ სჯობია, ამაზე ჯერ კიდევ როდის უთქვამს ჩვენებურ ჭკვიან კაცს. ჰოდა, ვნახოთ!

26 დეკემბერი: კასპის “გრიფინმა” ფინალურ მეორე მატჩშიც დაამარცხა თბილისის “ასტრალი”, ამჯერად დედაქალაქური ოლიმპიური სასახლის “დილომი – არენაზე”, თანაც, უფრო სოლიდური სხვაობით (112:81) და საქართველოს საკალათბურთო რუკაზე თავისი კუთვნილი ადგილი დამსახურებულად მოიპოვა. ბრავო, ლიგის დებიუტანტო, შენ უკვე გელოდებიან “ა” ლიგაში!

8 იანვარი: მაშ, ასე – ზედმიწევნით ნიშნულად დაემთხვა შარშანდელი დეკემბრისა და წლევიანდელი იანვრის ორი თარიღი: “გრიფინმა” საკვალიფიკაციო ეტაპი იმდღევანდელი გამარჯვებული იქნა და, ეგების, ლიგური სადებიუტო პირველობაც დღევანდელი ისტორიული გამარჯვებით გახსნას!

ფაქტია: ა. წ. 8 და 12 იანვრის ორი თამაში – ორივე გასვლაზე: ჯერ “ვერასთან” და მერე უნივერსიტეტ ”თავისუფალის” გუნდთან. აი, პირველი საშინაო მატჩი კი მხოლოდ 31 იანვარსაა ჩანიშნული. რატომ ასეთი დიდი შუალედური პერიოდი? – საქმე ისაა, რომ “გრიფინს” იანვარშივე გამოსვლა უწევს მეორე ფრონტზეც – ჩემპიონატში ხომ იღებს სტარტს და, პარალელურად, საქართველოს თასის გათამაშებაშიც ჩაებმევა! ოღონდ, დავაზუსტებთ – ახლაც მის საკვალიფიკაციო ეტაპზე!

დიახ, საქმეს ასეთი პირი უჩანს: 2025 წლის 15 იანვარს “გრიფინი” სათასო პირველ მატჩს თბილისში მართავს იმავე გუნდთან, სამი დღით ადრე პირველობისაში რომ დაუპირისპირდა.

აი, ამ წყვილში გამარჯვებული კვირის თავზე მასპინძელი იქნებოდა და თამაში მოუწევდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

(ოსუ) კლუბთან და ეს იქნებოდა მერვედფინალური შეხვედრა, განმეორებითი მატჩი დაინიშნებოდა 27 იანვრისათვის თბილისში და, ასე, ორრაუნდიან დაპირისპირებაში დადგინდებოდა ამ წყვილში გამარჯვებულის (მეოთხედფინალისტის) ვინაობა.

აი, ასე, სათასო რთული ბარიერი თუ დაძლია “გრიფინმა”, რაც, პირდაპირ უნდა ითქვას, ურთულესი ამოცანა თვით სუპერლიგის უძლიერესი კლუბის წინააღმდეგ, მაშინ უნდა ვნახოთ მისი გრიფინისებური აღმაფრენა პირველობის საშინაო მატჩში 31 იანვარს.

8 იანვარი: საქართველოს საკალათბურთო პირველობის “ა” ლიგაში 2024-25 წლების სეზონის სადებიუტო მატჩს, თანაც, გასვლით შეხვედრაში, კასპის “გრიფინი” დედაქალაქის სპორტის სასახლის არენაზე თბილისის “ვერას” მოუგებდა თუ ვერა? – ასეთი კითხვა არ გასჩენიათ არც გრიფინელებს და არც მათ გულშემატკივრებს, ისეთი სპურტი აიღეს წინასასწავლო ამხანაგურ თუ საკვალიფიკაციო ეტაპის თამაშებში. დღესაც, მართალია, გუნდმა ლეგიონური დამრტყმელი ძალა მოისაკლისა (სამი ამერიკელი მოთამაშე მხოლოდ ერთმა ითამაშა), მაგრამ მარჯი მაინც აქეთ დაინარჩუნა ანგარიშით 91:84!

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დებიუტანტი გუნდის კვალობაზე, ესაა საუკეთესო დასაწყისი. აი, მესამე ტურის მატჩი 31 იანვარს პირველად უწევს კასპში თელავის “ბურჯთან” და მისი ძლევაც არ უნდა გაუჭირდეს, რადგანაც კახელებმა დღეს მეორე თამაშიც წააგეს. ამდენად, პირველობის საწყის სამივე თამაშში გამარჯვების შემდეგ აქტივში ბალანსად 6 ქულა დაუგროვდება, რაც გარანტირებულ პირველ-მეორე საფეხურზე ყოფნას მოასწავებს გათამაშების ცხრილში.

დღევანდელ მეტოქესთან პრინციპულ მატჩს რაც შეეხება, გარდამავალი უპირატესობით ითქვას, რომ კასპელებმა წარმართა, საკმარისია მოიგოს პირველი და მესამე პერიოდები (21:12 და 29:21), მაგრამ დათმეს მეორე და მეოთხე (18:25 და 21:27). ანუ, სტუმრებმა პირველ ტაიმში დააფიქსირეს 12-ქულიანი უპი-



იანვარი — ორ ფრონტზე ...

რატესობა, საბოლოოდ კი 4 - ქულიანი შეინარჩუნეს.

მთავარი იყო გამარჯვება ნებისმიერი ანგარიშით. ამდენად, ამდღევანდელი პროგრამა-მაქსიმუმი მიღწეულია.

15 იანვარი: სასხვათაშორისოდ სათქმელად როდი ვამბობთ, თბილისის სახელმწიფო უნივერ-

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მხრიდან (პრეზიდენტი – ვიქტორ სანიკიძე, ვიცე-პრეზიდენტი – ნიკოლოზ ცქიტიშვილი) განხორციელდა ფრიად სასიამოვნო და მნიშვნელოვანი შეხვედრა: ქ. კასპის სპორტკომპლექსის საკალათბურთო დარბაზ-

ქ. კასპში სტუმრობდნენ: ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ნიკოლოზ ცქიტიშვილი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი შალვა ონიანი და მათი კოლეგები – ალექსანდრე პერტიაშვილი, ირაკლი პერტიაა, მათე ანთია. მასპინძელ მხარეს წარმოადგენდნენ: კასპის მუნიციპალიტეტის მერი



სიტეტის გუნდი სათუბო და თუბის კლუბად სულაც არაა მისაჩვენებელი: 15 იანვარს კასპის “გრიფინმა” თუ მასთან საქართველოს თასზე მერვედფინალური შეხვედრის უფლება მოიპოვა “თავისუფალის” დაჯახვით, ზედალიგელმა დღესვე, სულაც ორსა-

ში, ზედ საქართველოს 2025 წლის თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩის წინააღმდეგში ჩამოტანილი და დამონტაჟებულია საკალათბურთო ახალი ტაბლო და 24-წამიანი აღრიცხვის სპეციალური დანადგარი.

საქმე ისაა, რომ “ფიბას” ახალგაზრდობის

მოადგილე ზურაბ კოპაძე, კლუბ “გრიფინის” მენეჯერი ვაჟა სიმონიშვილი, ადგილობრივი სპორტ-დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი შოთა გოგიაშვილი, კლუბის მწვრთნელები და კალათბურთელები, დარბაზის ტექნიკური მუშაკები.



თიანი ინტერვალით, იმავე დარბაზში, სულაც ლიგის მოქმედ ჩემპიონთან, ქუთაისის გუნდთან იზეიმა გამარჯვება, ოღონდ სხვარანგის თამაშში – საკანდელიძე-ქორქიას სახელობის ტურნირის ფინალურ პრინციპულ და ოვერტაიმულ დაპირისპირებაში. თანაც, სწორედ ოსუ-ის კლუბია საქართველოს თასის შარშანდელი მფლობელი.

ჰოდა, აი, გამოწვევაც ამას ჰქვია! აბა, ვინ ვის?

წილი ნაყარია: ჯერ ერთი კვირის თავზე!

განვითარების ფონდთან თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს კალათბურთის რეგიონული განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლები მოულოდნელი საჩუქრით ხელდაშვენებული ესტუმრნენ ქ. კასპს. საჩუქარი იქით იყოს, და, ეს იყო საქმიანი ვიზიტი და პროფილური მხარდაჭერა შიდა ქართლის ამ პატარა ქალაქში საკალათბურთო ცხოვრების გამოცოცხლებისა და შემდგომი განვითარების მიზნით.

22 იანვარი: კასპში დღეს სპორტული სენსაცია დაფიქსირდა, რაც ფანტასმაგორულად დაუჯერებელი ამბავია: შექმნა-ჩამოყალიბებიდან სამი თვის თავზე “ა” ლიგის დებიუტანტმა კლუბმა ანგარიშით 102:98 დაამარცხა ოსუ-ის გუნდი – სადღეისოდ ქართულ კალათბურთში საუკეთესო გუნდი – მიმდინარე პირველობის ლიდერი და თასის შარშანდელი მფლობელი!

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება

2024 წლის პროექტები



გაგრძელება დასაწყისი 1-2კვ. საბერძნეთის დედაქალაქ ათენში გამართულ ფესტივალში „საგანძური“ მონაწილეობდა.

სხვადასხვა ფესტივალში მონაწილეობდნენ სამეჯლისო ცეკვების სტუდია „მზის სხივი“, ხალხურ საკრავთა ანსამბლები „თხოთი“ და „კავთურა“, ქალთა ანსამბლი „კაბადონი“. რაც შეეხება კასპის ბენდს, ყოველდღიურად იხვეწება და მაყურებელს ახალ სიმღერებს სთავაზობს.

მუზეუმები მუნიციპალიტეტში 5 სახლ-მუზეუმი ფუნქციონირებს, ყველა მათგანს ჰყავს ვიზიტორები და ეცნობიან ჩვენი სახელოვანი ადამიანების და ზოგადად კასპის ისტორიას.

1. რეაბილიტირდა გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობა - საგამოფენო დარბაზში სისტემატურად იმართება გამოფენები, რომელსაც დამთვალიერებელი ყოველთვის ჰყავს.

2. გრძელდება ლამისყანის ჯამ-

მუზეუმის საგამოფენო დარბაზში სისტემატურად ეწყობა ადგილობრივი თვითშემოქმედი ადამიანების ნამუშევრების გამოფენა.

2024 წლის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 21 815 574 ლარი (ყველა დაფინანსებულია) დაიხარჯა.

საგზაო ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი პრიორიტეტი საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაა, როგორც ქალაქში, ასევე სოფლებში. მერია მაქსიმალურად ცდილობს ყველა სოფელში კეთილმოაწყოს მისასვლელი გზა - ვინაიდან ეს უმნიშვნელოვანესია.

2024 წელს კასპის მუნიციპალიტეტში რეაბილიტირდა 20 959 გრძელი მეტრი გზა, რომელზეც დაიხარჯა 10 425 819 ლარი (იგულისხმება ასფალტი და არმირებული ბეტონის გზა).

საგზაო ინფრასტრუქტურა მოეწყო მუნიციპალიტეტის 10 სოფელში: გორაკა, ერთაწმინდა, ფერმა-ჩანგილარი, ლავრისხევი, ღოესის

სკოლასთან და საბავშვო ბაღთან მისასვლელი, ხოვლის საჯარო სკოლასთან მისასვლელი, ბარნაბინთკარი, წინარეხი, თემისხევი, მეტეხის-გეჯაძეების უბანი.

გარდამავალი პროექტებია: გორაკას (2023-2024 წ) ლავრისხევის და თემისხევის გზები (2024-2025 წ).

ათი პროექტიდან ერთი - გეჯაძეების უბანი - ადგილობრივი ბიუჯეტის, ხოლო - დანარ-



ჩენი პროექტების დაფინანსების წყარო რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტია.

ქალაქ კასპში საგზაო ინფრასტრუქტურა მოეწყო და გრძელდება 23

ქუჩაზე: თბილისის, ქართლის, ბარათაშვილის, აჭარის, კახეთის, ვარძიის, თევდორეს, მშვიდობის, 300 არაგვის, კოჯორის, კრწანისის, ანტონოვსკაიას.

გარდამავალი (2024-2025) - 11 ქუჩა : 9 აპრილის, ასათიანის, ბარნოვის, გოგებაშვილის, იას, პეტრიწის, ჩახრუხადის, ლაშქარაშვილის, ორბელიანის, ქვათახევის და ცაგარელის. მათგან 9 ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემა



ქალაქ კასპში კოსტავას ქუჩის აღმართზე და კოსტავას ქუჩის №69-ში, ვაჟა-ფშაველას ქუჩიდან მახინჯილის ქუჩამდე და სოფელ იდლეთში.

რეაბილიტირდა და მოეწყო.

ასფალტი ნაწილობრივად დაგებული: 9 აპრილის და ქვათახევის მოწამეთა ქუჩებზე. ყველა პროექტის დაფინანსების წყარო რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტია.

დამცავი კედლები მოეწყო: ქალაქ კასპში კოსტავას ქუჩის აღმართზე და კოსტავას ქუჩის №69-ში, ვაჟა-ფშაველას ქუჩიდან მახინჯილის ქუჩამდე და სოფელ იდლეთში.

ნაპირსამაგრი სამუშაოები კასპში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით განხორციელდა 4 373 გრძელი მეტრზე მდინარე ლეჩხურას კალაპოტის ამოწმება და დაღრმავება.

მდინარის მარცხენა სანაპიროზე კი მოეწყო 848 გრძელი მეტრის გაბიონი.

რაც შეეხება სტიქიით გამოწვეული პრობლემის გადაჭრას საქართველოს

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.



ქალაქ კასპში კოსტავას ქუჩის აღმართზე და კოსტავას ქუჩის №69-ში, ვაჟა-ფშაველას ქუჩიდან მახინჯილის ქუჩამდე და სოფელ იდლეთში.

რეაბილიტირდა და მოეწყო.

ასფალტი ნაწილობრივად დაგებული: 9 აპრილის და ქვათახევის მოწამეთა ქუჩებზე. ყველა პროექტის დაფინანსების წყარო რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტია.

დამცავი კედლები მოეწყო: ქალაქ კასპში კოსტავას ქუჩის აღმართზე და კოსტავას ქუჩის №69-ში, ვაჟა-ფშაველას ქუჩიდან მახინჯილის ქუჩამდე და სოფელ იდლეთში.

ნაპირსამაგრი სამუშაოები კასპში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით განხორციელდა 4 373 გრძელი მეტრზე მდინარე ლეჩხურას კალაპოტის ამოწმება და დაღრმავება.

მდინარის მარცხენა სანაპიროზე კი მოეწყო 848 გრძელი მეტრის გაბიონი.

რაც შეეხება სტიქიით გამოწვეული პრობლემის გადაჭრას საქართველოს

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

მთავრობის განკარგულებით სტიქიის ფონდიდან გამოიყო - 9 80 000 ლარი, რომელიც ასე გადანაწილდა:

1. სოფელ გუდალეთში მდინარე გუდალურაზე დაზიანებული ხიდის აღდგენა;

2. სოფელგუდალეთის წყალმომარაგების სისტემის სამარაგო რეზერვუარის, მიწოდებული მაგისტრალისა და შიგა სასოფლო ქსელის ნაწილობრივი რეაბილიტაცია;

3. სოფელ წინარეხში ე.წ. ფონების დასახლებაში მდინარე კავთურაზე გადასასვლელი ხიდის და დამცავი კედლის მოწყობის გარდამავალი პროექტი დასრულდება 2025 წელს.

გარე განათების პროექტები მოსახლეობის მხრიდან მოთხოვნადაა ქუჩების გარე განათების მოწყობა და არსებულის გაგრძელება. წელს 30 სოფელში განხორციელდა აღნიშნული სამუშაოები "სოფლის მხარდაჭერის და მოქალაქეთა ჩართულობის" პროგრამის ფარგლებში. პროცესი გაგრძელდება მომავალ წელსაც.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის დაფინანსების პროგრამა

8 წელია მრავალსართულიანი ბინების ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსების

პროგრამის ფარგლებში 2024 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 12 სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ფინანსდება.

პროგრამის ფარგლებში 2024 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 229 000 ლარი.

სამუშაოებს, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანიების დახმარებით ახორციელებენ.

აღნიშნული პროგრამით თანადაფინანსებით განხორციელდა 7 პროექტი მ/შ 2 სოფელში და 5 კასპში, ძირითადად: სახურავების, სადარბაზოების, წყალარინების (კანალიზაცია) სისტემების რეაბილიტაცია.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების-მართვა, ტექნიკის შექმნა.

ნარჩენების მართვის მიზნით მიმდინარეობს მომსახურების გაუმჯობესება, რისთვისაც ყოველწლიურად საჭირო ტექნიკის შექმნა ხორციელდება.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან შექმნილია: 1. 1 ერთეული მრავალფუნქციური, ბორბლიანი ექსკავატორ - დამტვირთველი გრეიდერი, რომლის საჭიროების აუცილებლობა მუნიციპალიტეტში არსებობდა. დასასრული მომდევნო ნომერში

აღნიშნული პროგრამით თანადაფინანსებით განხორციელდა 7 პროექტი მ/შ 2 სოფელში და 5 კასპში, ძირითადად: სახურავების, სადარბაზოების, წყალარინების (კანალიზაცია) სისტემების რეაბილიტაცია.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების-მართვა, ტექნიკის შექმნა.

ნარჩენების მართვის მიზნით მიმდინარეობს მომსახურების გაუმჯობესება, რისთვისაც ყოველწლიურად საჭირო ტექნიკის შექმნა ხორციელდება.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან შექმნილია:

1. 1 ერთეული მრავალფუნქციური, ბორბლიანი ექსკავატორ - დამტვირთველი გრეიდერი, რომლის საჭიროების აუცილებლობა მუნიციპალიტეტში არსებობდა. დასასრული მომდევნო ნომერში

ბაკურ-ორბელიანების სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია.

მიმდინარე წელს 75 527 ლარის ინვენტარი და მუსიკალური ინსტრუმენტები იქნა შექმნილი კულტურის სახლების, სასოფლო კლუბების და სახელოვნებო (მუსიკალური) სკოლებისათვის.

კასპის მხარეთმცოდნეობის



ქროჯის ისტორიიდან

წლის მიწურულს გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა სესია თემაზე: „მასალები კასპის ინდუსტრიული ტექნიკუმის ისტორიიდან“.

სესია გახსნა მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩაღუნელმა. მოხსენება წააკითხა მუზეუმის განყოფილების გამგემ ნანა მერებაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ინდუსტრიული ტექნიკუმის ისტორიის შესახებ მასალა მოიპოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. საქართველოს არქივის (დირექტორი მ. გოგებაშვილი) და ტექნიკუმის თანამშრომელთა მიერ წარმოღვენილ დოკუმენტებში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა პერიოდში დიდი ყურადღება ექცეოდა საშუალო სპეციალურ განათლებას. 1927 წლისათვის საქართველოში 46 საშუალო სპეციალური სასწავლებელი იყო. 1923-24 წლებში თბილისში დაარსდა 19 ტექნიკუმი, პროვინციებში -29. მათ შორის იყო კასპის ინდუსტრიული ტექნიკუმი, რომელიც აშენდა 1930 წელს და გაიხსნა 1969 წლის პირველ სექტემბერს, განხორციელდა სტუდენტთა მიღება, „სამშენებლო მასალების მრეწველობის მანქანებისა და მოწყობილობებისა და „მჭიდი მასალების ტექნოლოგიის“ ფაკულტეტზე.

1980 წელს სასწავლო კორპუსს შეემატა სასწავლო სახელოსნო, სპორტდარბაზი, 1986-სასადილო.

ტექნიკუმის დირექტორად დაინიშნა მირიან პირველი. პედკოლექტივი დაკო-

მპლექტებული იყო პროფესიონალი პიროვნებით, როგორებიც იყვნენ: ვლ. გუგულაშვილი, გ. მელაძე, შ. სანაძიანი, ნ. ტალახაძე, ც. ხუციშვილი, ვ. ჩიგოვიძე, მ. ბუცხრიკიძე, რ. ბერდუტინა, ზ. ქსოველი,



ლ. მურჯიკელი, დ. ოკინაშვილი, თ. ბერიაშვილი, დ. კენჭუაშვილი, ქ. კიკნაძე და სხვები..

1970-71 სასწავლო წელს აღნიშნულ სპეციალობებს დაემატა „ელექტროაპარატმშენებლობისა“ და „სამშენმასალათა მრეწველობის საწარმოთა დაგეგმარება“.

ტექნიკუმმა კურსდამთავრებულთა პირველი ნაკადი გამოუმავლა 1972-73 სასწავლო წელს.

მირიან პირველის შემდეგ ტექნიკუმს 1979-82 წლებში ხელმძღვანელობდა დიმიტრი ხუსკივაძე. 1982 წლიდან ნორა ნერგაძე (მას 1993 წელს მიენიჭა უმაღლესი კატეგორიის პედაგოგის წოდება და დაჯილდოვდა ღირსების ორდენით).

1997 წელს კასპის ინდუსტრიული ტექნიკუმი ინდუსტრიულ კოლეჯად გადაკეთდა, რომლის დირექტორად გადაიყვანეს ნორა

ნერგაძე, მუშაობდა 2006 წლის ივლისამდე.

კოლეჯად გადაკეთების შემდეგ დაამატეს ექვსი ფაკულტეტი: სამართალმცოდნეობა, საგადასახლო საქმე, დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდოლოგია, ქიმიური ტექნოლოგია, საბანკო და საბაზო საქმე.

აღდგენის საჭიროებასთან დაკავშირებით, ხალხის მოთხოვნით, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საწარმოთა ხელმძღვანელების მიერ ბევრი მიმართვა გაიგზავნა ზემდგომ ორგანოებში, რასაც დადებითი შედეგი არ მოჰყოლია.

სესიის დასრულების

კოლეჯში ტარდებოდა „სტუდენტური დღეები“, მათემატიკური ტური, ვიქტორინა თემაზე „ვეფხისტყაოსანი და საფრანგეთი“, სპორტული შეჯიბრებები, ვიქტორინა „რა, სად, როდის?“, შეხვედრები ცნობილ პოეტებთან: ანა კალანდაძესთან, მუხრან მაჭავარიანთან, ნუგზარ შატაძესთან, ზაურ ბოლქვაძესთან...

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (683-ე, 24.08.09) ბრძანების საფუძველზე მოხდა კასპის ტექნიკური კოლეჯის რეორგანიზაცია და დაფუძნდა კასპის პროფსასწავლებლის ცენტრი, რომელსაც 2007-10 წლებში ხელმძღვანელობდა მაია ნატროშვილი.

2010 წელს (ბრძ. 700, 14.09) ლიკვიდირებულ იქნა რესპუბლიკაში არსებული პროფსასწავლებლების ცენტრები, მათ შორის კასპისაც. - პროფცენტრის

შემდეგ დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებმა: მაია ნატროშვილმა, ციალა დარახველიძემ, ნაირა რევაზიშვილმა-ტყემაძემ, ინგა მაქარაშვილმა, ლია ჩუბინიძემ, მაია ქესაურმა, ნინო ცხენოსანიძემ, მაია გაბოძემ და სხვებმა დადებითად შეაფასეს ნანა მერებაშვილის მიერ წაკითხული მოხსენება და წარმატებები უსურვეს მუზეუმის თანამშრომლებს.

დირექტორმა გიორგი ჩაღუნელმა მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს მობრძანებისათვის და განაცხადა, რომ მომავალში კვლავ ბევრი საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი, რაც უფრო მეტად გაამრავლებს და გაამდიდრებს ჩვენი მხარის ისტორიას.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელგონებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება

„სანამ ვმოსხლობი...“

გავუთბოთ ერთმანეთს გულები სანამ ვცოცხლობთ, ამქვეყნიური ვალი უნდა მოვიხადოთ, სიკეთე ვთესოთ, ერთმანეთს მივუშველოთ, ტკივილი დავუამოთ და გულები გავუთბოთ. - ეს იყო მიზანი კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (მენეჯ. ლ. პეტრიაშვილი) ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის (ხელმძღ. ნ. მერებაშვილი) მოსწავლეებისა, რომლებმაც პედაგოგებთან ერთად გასული წლის 22 დეკემბერს მოაწყვეს გასვლითი ღონისძიება „გავუთბოთ ერთმანეთს გულები“ და სტუმრად ეწვივნენ კასპის მოხუცთა და ზრუნვის სახლს (მენეჯ. თ. მიდელაშვილი). ქალბატონი თამარი გულთბილად შეეგება სტუმრებს, დათვალიერებინა საახალწლოდ

წვერი მოინახულეს. მიულოცეს შობა-ახალი წელი და საჩუქრები გადასცეს.

შემდეგ მასპინძლების წინაშე საახალწლო პროგრამით წარსდგნენ.

ლექსები წაიკითხეს: მარიამ ტალახაძემ, ბარბარე ირემაშვილმა, მარიამ ყაზარაშვილმა, მარიამ კანიშვილმა, ნინო გაბოშვილმა, ლუკა ქენჭაძემ და საბა წინამძღვრიშვილმა. გაიხარეს მოხუცებმა და არც ისინი ჩამორჩნენ პატარებს. გაიხსენეს ბავშვობაში თუ როგორ სვდებოდნენ ახალ წელს, ისაუბრეს ტრადიციულ ქართულ თამაშებზე, რელიგიაზე, წეს-ჩვეულებებზე.

დასრულდა სიკეთით სავსე დღე. ღონისძიების ინიციატორმა ისტორია-მხარეთ-



მორთული დარბაზი, სადაც ზრუნვის სახლის ბინადარი ნშირად თავს იყრიან და ხალისიანად ატარებენ დროს. მენეჯერი თამარ მიდელაშვილი და მისი თანამშრომლები დიდი მადლობა გადაუხადეს რუდუნებითა და სიყვარულით ექცევიან ბუნეფიციატრებს, მზრუნველობას იჩენენ უმწეო მოხუცების მიმართ. მოსწავლეებმა მოხუცთა და ზრუნვის სახლის თითოეული

მცოდნეობის წრის ხელმძღვანელმა ნანა მერებაშვილმა, მასწავლებლებმა მანანა ყაბანაშვილმა და ქეთევან გეჯაძემ, მშობლებმა სოფო ბანცაძემ და მანანა ქენჭაძემ მადლობა გადაუხადეს მოხუცთა და ზრუნვის სახლის მენეჯერს თამარ მიდელაშვილს და მომსახურე პერსონალს გულთბილი მიღებისათვის და შემწვილობნენ ბუნეფიციატრებს და თან გამოიყოფეს მათი დალოცვა.

შეხვედრები

2024 წლის 27 ნოემბერს კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში (მენეჯ. ლ. პეტრიაშვილი) მოეწყო შეხვედრა კასპის საკათედრო ტაძრის მოძღვართან მამალექსანდრესთან (გუბელაძე).

შეხვედრას ესწრებოდნენ პედაგოგები და მოსწავლეები.

მამა ალექსანდრემ ამომწურავი პასუხები გასცა კითხვებს.

ვრცლად ისაუბრა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაზე, უფლის მოციქულებზე, მარხვის მნიშვნელობასა და სხვა საინტერესო რელიგიურ საკითხებზე. დასასრულს მოძღვარმა დალოცა დამსწრე საზოგადოება, რომელთაც თავის მხრივ მადლიერება გამოხატეს შემეცნებითი და შინაარსიანი შეხვედრისათვის.

„სახლი განთიარა,“
ეძებს წახსენებელს
სურათებს წახსენების
სავსებით თვითონ-მყვანის
შედაქმნელობა. მოგმართავთ თხოვნით - რაყოფთ თქვინი ყვარო მყვანებში! გამოგვიგზავნეთ წახსენებელი თვითონები!

„ფრთიანი ფრთხილი“
 ბავშვობაში ნათქვამი „ფრთიანი ფრთხილი“ დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ „ოქროს ფონდში,“ თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაურული თავყრილობის მთავარი სახლის საამბობნი არიან. შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში „კვხურა“ და გახდით რუბრიკის სტუმარი.

რედაქციის მამოსული წერილები
არ ჩახსენიარება და ავტორებს არ უბრუნდება

გაზეთი იბეჭდება
გამომცემლობა
„კოლორი“

რედაქცია ხელმძღვანელობს თაინისუალი პრესის პრინციპებით.
სტაჟიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოგანილი შაჟაბის სიხუსგავა პასუხისმგებელია ავტორი.
სარედაქციო მასალები და განხილავების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აბაძს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალები გამომცემლობა იბეჭდება.

რედაქციის
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ ქასპი
საბაჟის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76